| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გა[illegible]ს დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა [illegible].

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



## სახელმწიფო ბანკის განყოფილებისაგან ტფილისში.

სახელმწიფო ბანკის განყოფილება ტფილისში ამით იუწყება საყოველთაოდ, რომ სახელმწიფო ბანკის განკარგულებისამებრ, **ამ იანვრის 24, დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 3 საათამდე**, ამ ბანკის განყოფილების სადგომში **იქნება გასყიდვა საქველ-მოქმედო ლოტარეიას ბილეთებისა** იმ გუბერნიების სასარგებლოდ, რომელიც დაიმშა 1891 წლის მოუსავლობის გამო. იქნება გასყიდვა აგრეთვე ცალკე კუპონებისაცა. ფასი ბილეთისა 5 მან., ხოლო კუპონისა—1 მან. უკეთუ მყიდველი მთელს ბილეთს-კი არ იყიდის, არამედ მოითხოვს ცალკე კუპონს, ამ შემთხვევაში ის წესი იქმნება დაცული, რომ ჯერ ერთის ბილეთის კუპონები გაისყიდოს და მერე მეორესი და არა ერთად რამდენისამე ბილეთისა. როცა ერთის ბილეთის კუპონები გაიყიდება, მხოლოდ მაშინ დაიჭრება შემდეგი ბილეთი კუპონებად და ახლა ის გაიყიდება. (3—0—3)

ტფილისის სობრანიაში

კვირას, 26 იანვარს, დანიშნულია

**კონცერტი**

6 იანვარს მომხდარის უბედურებით დაზარალებულ იჯახობათა სასარგებლოდ. კონცერტს შემდეგ

**ცეკვა**

ბილეთების ყიდვა შეიძლება გ. მ. მირიმანიანის სამუსიკო დეპოში, სასახლის ქუჩა ტფ. სათ-აზნ. ბან. თეატრის ქარვასლაში, ხოლო კონცერტის დღეს სობრანიის შვეიცართან. (5—3)

**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—11)


## ახალი ამბავი

*** ქალაქის გამსესხებელ კასსის დირექტორმა ბ-ნმა ყაზარიანცმა ამ დღეებში წარუდგინა ქალაქის გამგეობას ანგარიში კასსის მოქმედებისა 1891 წლის განმავლობაში. ანგარიშიდგან სჩანს, რომ კასსას მოუშორებია წლიური შესატანი ფული ადრინდელის „პრიკაზის“ ვალისა რვაასს თუმანზე მეტი, შეუტანია სამასი თუმანი სარგებელი ეგრედ წოდებულის საუნივერსიტეტო თანხისა, საიდგანაც აღებული აქვს ვალად 50,000 მანეთი, მოუშორებია წლიური ხარჯი თავის მოხელეთა ჯამაგირების, სახლის ქირისა და კანცელარიისა სულ 6469 მანეთი, ხაზინის ჯარიმა ორმოც-და-ათ თუმნამდე და კიდევ დარჩენია წმინდა შემოსავალი ათას თუმნამდე. ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი იყო ხარჯთ-აღრიცხვა მდგომარე წლისა. ბ-ნი დირექტორი სთხოვს ქალაქის გამგეობას, შუამდგომელობა გაუწიოს საბჭოს წინაშე მასზედ, რომ წელს ერთი ოცდა-ოთხი თუმანი მეტი იქმნას შეტანილი ხარჯთა აღრიცხვაში, რათა ამ ფულით შესძლოს კასსამ და ერთი მწერალი კიდევ დაიქირაოს გასაძლოლად საქმეებისა, რომელიც დღითი-დღე ემატება ამ დაწესებულებას.

*** 20-ს ამ თთვისას, საპიორების ქუჩაზე, ტერ-სტეფანოვის სახლებში, № 45-ში, ტფილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეს ია—ზ ბერაძეს მის სასწავლებელში ყოფნის დროს, ყუთიდგან მოჰპარეს 10 მან. ფული. როგორც მოსწავლე ამბობს, ფული წიგნში ჰქონია ჩადებული და ყუთში შენახული. როდესაც სასწავლებელში წასულა, ოთახის გასაღები იმ ეზოშივე მცხოვრებ დედაკაცისთვის მიუცია, რომელსაც მოსწავლეების ოთახის მოვლა ჰქონია მინდობილი. როდესაც მოსწავლე მოსულა სასწავლებლიდამ, ყუთის თავზე გასაღები უნახავს დარჩენილი, რომლითაც ქურდს ყუთი გაუღია და ფული მოუპარავს.

*** შინაგან საქმეთა სამინისტრომ აუწყა გუბერნატორებს, რომ ვინც მოისურვებს ელექტრონით განათების გამართვას, უეჭველად ნება-რთვა უნდა აიღოს ადგილობრივის სატეხნიკო დაწესებულებისაგან, იმ შემთხვევაშიაც-კი, როცა ელექტრონით განათება კერძო სახლში უნდა გაიმართოსო. თუ რომელმამე საზოგადოებამ მოისურვა ელექტრონით განათების გამართვა, მაშინ ადგილობრივმა სატეხნიკო დაწესებულებამ ჯერ უნდა გასინჯოს ელექტრონით გასანათებლად გამართული მოწყობილებანი და მერე ნება-რთვა სთხოვოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

*** რკინის გზის სადგურს ხაშურსა და სურამს შუა ისეთი ნამქერია, რომ 21 იანვარს ხაშურიდგან სურამში მიმავალმა მატარებელმა № 61 სურამს ვერ მიაღწია და უკანვე დაბრუნდა. ასეთი დიდი თოვლი იქ დიდი ხანია არა ყოფილა. სურამსა და ხაშურს შუა ამ ჟამად მატარებელი ვეღარ დადის.

*** ამ დღეებში, ქალაქის მახლობლად, ტფილისის მცხოვრების მიხეილ კერაშვილის დასახიჩრებული გვამი იპოვნეს. პოლიციამ აღმოაჩინა, რომ კერაშვილი 11 იანვარს ფეხით წასულა წყნეთში, ბილიკზედ ფეხი გასხლტომია და ხევში გადავარდნილა.

*** გაზაფხულზედ ტფილისში მრავალი ხალხი ჩამოვა რუსეთის დამშეულ გუბერნიებიდგან. ამის გამო კავკასიის გზათა უწყების ოლქს განზრახვა აქვს გაზაფხულზედვე დაიწყოს ახალის გზა-ტკეცილების გაკეთება და ძველის გზების განახლება, რომ სამუშაო მისცეს დამშეულს ხალხსა.

*** ამ ათის წლის წინად ქუთაისის-საგუბერნიო საკრებულომ მოსთხოვა ქალაქის გამგეობას პოლიციისთვის ყოველ წლივ 5,400 მანათი ხარჯი. ქალაქის გამგეობამ უარი სთქვა, მაგრამ საგუბერნიო საკრებულომ მაინც თავისი გაიტანა და 1885 წლამდე ართმევდა ფულს ქალაქის გამგეობას.

ქალაქმა მაშინვე საჩივარი შეიტანა. უმართებულესმა სენატმა გადასწყვიტა, რომ ეს ფული ამიერიდგან არ გადახდეს ქალაქის გამგეობასაო. გამგეობამ ხელახლად საჩივარი შეიტანა, $4^1/_2$ წლის განმავლობაში უკანონოდ გადახდილი ფული 23,434 მანათი ხაზინამ უკან დაგვიბრუნოსო. ფინანსთა სამინისტრომ უარი სთქვა ამ ფულის დაბრუნებაზედ. ქუთაისის ქალაქის მმართველობამ საჩივარი სენატში გადაიტანა. უმართებულესმა სენატმა გარდასწყვიტა: შეწყნარებულ იქმნას ქუთაისის ქალაქის მმართველობის თხოვნა და 23,434 მან. ქალაქს დაუბრუნდესო. ეს გარდაწყვეტილება დამტკიცებულია იუსტიციის მინისტრის მიერაც.

*** ყვარელი (თელავის მაზრა): 15 იანვარს, ღამე, სოფ. ყვარელში მოჰკლეს სამი მეზვრე თავ. ნიკოლოოზ ზურაბის ძის ჭავჭავაძისა—იმერნი: ბიჭია ჭაპიჭაძე, სოსიკო ქუბაშვილი და უკანასკნელის ბიძაშვილი, რომლის სახელი ჯერ არ ვიცით. მოჰკლეს ზვრის საყარაულო ოთახში, სამის ვერსის მანძილზე სოფ. ყვარელიდამ. სამივეს თავში აქვთ დაკრული წალდი, რომელიც იქვე ოთახში გდია. ეს ამბავი პირველად შეიტყო ჭავჭავაძისავე მოურავმა ზაქარია ოდიშელიძემ მეორე დღეს, 16 იანვარს, შუადღისას; ზვარში ჩასულიყო და კარები ოთახისა გარედან გადარაზული დახვედროდა; როცა ზვარში მეზვრენი ვერ ეპოვა, ოთახის კარები გაეღო და საზარელი სურათი-კი დაენახა! ხელი ჯერ ვერავისთვის დაუდვიათ; არც მიზეზი იციან ამ სამის კაცის მოკვლისა.

*** ახალ-სენაკი: ინფლუენცა დღეს მთელს სენაკის მაზრაშია მოდებული და იშვიათია ისეთი სოფელი, რომ ეს სენი არ მძვინვარებდეს. შარშან-წინაც გაჩნდა ინფლუენცა, მაგრამ ისეთი მძლავრი არ იყო, როგორც წელსა ამას ზედ დაერთო სხვა-და-სხვა ავადმყოფობაც, რომელიც ინფლუენცას არაფრად ჩამოურჩება.

*** იქიდამვე: 19 ამ თთვისას ქართული წარმოდგენა გამართეს სცენის მოყვარეებმა. წარმოადგინეს „ძალათ ექიმი“, კომედია ორს მოქმედებად თ. გ. ერისთავისა და „ბიძიასთან გამოხუმრება“, ვოდევილი ერთს მოქმედებად თ. რ. ერისთავისა. ეს პირველი მაგალითია, სენაკში ჩვენის განათლებულის საზოგადოების მიერ ქართული წარმოდგენა გაიმართა და ისიც საქველ-მოქმედო საგნისთვის. წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს: ქქ-თ: ვ. აღლაძისამ, ვ. ჯიჯიხიასამან, კვიცარიძისამ, კ. მესხისამ და ნ. კალანდარიშვილისამ; ბბ-თ ს. ყიფიანმა, ვლ. აბაშიძემ, ე. კვიცარიძემ, ლ. ჟვანიამ, კ. კალანდარიშვილმა, ვ. ელიავამ. ყველას თავ-თავისი როლი კარგად შეესწავლა, მთელი

## ფელეტონი

### სიმონა

(მოთხრობა გლეხ-კაცობის ცხოვრებისა)

### IX

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 15)

თებერვლის საღამო იყო; წვიმაში ხანდახან თოვლ-ჭყაპს ურევდა; ქვენა ქარს ზუზუნით აჰქონდა წვიმა სახლის კედლებზე; ზოგიერთი სახლი სახურავამდე დაესველებინა. ქეთევან, ძალაძის ქვრივი, იჯდა კერასთან და ნაღვლიანად ჩაჰყურებდა ცეცხლს. მისი სახე და ხელების კანკალი ამტკიცებდა, რომ ამ მოხუცს ადამიანს მძლავრი ავადმყოფობა გამოევლო, და ეხლა, თუ ვინმე ხელს არ მოჰკიდებდა, ისე ზეზე წამოდგომა აღარც-კი შეეძლო. ქეთევანის გვერდით იჯდა ერთი ხუთი-ექვსის წლის ფეხშიშველა, დაფლეთილ-პერანგიანი ქალი — ქეთევანის ახლო ნათესავი, უდედ-მამო ობოლი. ცეცხლის მეორე პირას იჯდა დარია, ესეც ძველისა და დაფლეთილის ტან-საცმელით. დარიას ერთი ხელი თავზე ჰქონდა შემოდგმული და ნაღვლიანის სახით მისჩერებოდა ერთს ქედს, რომელზედაც ქარი მოუსვენებლად არხევდა ხეებს. პატარა ქალი ხანდა-ხან გადააძრობდა „ნატეხარს“ ლობიოთი სავსე ქოთანს, რომელიც ცეცხლა-პირას სდუღდა, დაჰხედავდა და, თუ წყალი აკლდა, უმატებდა პირ-მოტეხილის დოქით. ცეცხლზე ნედლი შეშა ეყარა და ამიტომ მწარე კომლი იდგა სახლში, ხეირიანი სითბოც არა ჰქონდა, რადგანაც ნელ-ნელა და შიშინით იწოდა. დარია ხანდახან მობრუნდებოდა, შეუკეთებდა ცეცხლს და შემდეგ ისევ მიაშტერებდა თვალებს სერისკენ. ვინ იცის, იქნება ეს სერი აგონებდა ქალს იმ დროს, როცა ის და მისი საქმრო, სიმონა, პატარები იყვნენ და დარბოდნენ ამ სერზე შემოდგომობით, ზენაქრობის დროს, წაბლის ასაკრებად. ეს რამდენიმე თთვე იყო, რაც ქეთევანი ავად შეიქნა. მას შემდეგ დარიაც აღარ მოშორებია სადედამთილოს. ერთის შეშის ნახეთქიდგან, თითქო ბაწრად იგრიხებაო, ამოძვრა კომლი და დაუწყო პატარა ქალს, ქეთევანის ნათესავს, ცემა თვალებში. ქალმა ხან იქით მიიბრუნა პირი, ხან აქეთ და რომ ვერ მოახერხა მორიდება, ატირებით წამოიძახა: „ღმერთო, რა ვუყო აწი“.

— სხვაგან დაჯედი, შვილო, სხვაგან, ნედლი შეშაა და ფუტს არ გამეიწყვეტს. ხმელის მომტანი ვინ მოგვცა! აი ღმერთო, სასტორ-სამართალო ღმერთო, შენ ატირე და აწამე, ვინც მე ჩემი სიმონაი ამდონი ხანია სანახავად დამიკარგა! უსამართლოთ თუ-კი დეეტანჯოს, ტანჯვას ნუ გამოუწყვეტ მის ოჯახს! გამოვზარდე, გავკეთითი, მოწიფული შვილი მომესწრა მეთქი და... ქეთევანმა მეტის თქმა ვეღარ შეიძლო; სისხლ-გამოლეულ, თეთრად მომანჭულ ლოყების დასერილს კანზე ცრემლები ჩამოსცვივდა.

დარიამ მოიბრუნა პირი, შეჰხედა ქეთევანს და თითონაც ცრემლებით აევსო თვალები, მაგრამ თავი შეიმაგრა და ასე უთხრა ქეთევანს:

—ნუ, ბატონო, ღმერთის წყალობით აწი ადრე მოგვივა, დროც მოაწია.

— რეთი ხანია ასე ვიძახით—მოგვივა, მოგვივაო, სადაა მერე! იი ურჯულოები, იგინმა ღმერთი იციან! სამართალი აქ!... რაღა მოგვივა, რომ დაალპეს ტყვეობით! იქნება აღარც!... აქ ქეთევანმა მოუმატა ტირილს. დარია ანუგეშებდა, მაგრამ ამაოდ—მოხუცი გულ-ამოსკვნით ტიროდა და იწყევლებოდა.

დაღამდა. ქარი და თოვლ-ჭყაპი თან-და-თან მატულობდა.

— კარი მოუგდე, ღამე იბზირება სახლში და არ ვარგა, უთხრა ქეთევანმა პატარა ქალს, რომელმაც ამ სიტყვებზე საჩქაროდ მოხურა კარები.

კარგა ხანი იყო, რაც ქეთევანს მშიშარაობა დასჩემდა. მეტადრე ღამით ყოველივესი ეშინოდა. როცა მძლავრი ქარი ჭრიალ-ჭრიალს დააწყებინებდა სახლს და ზუზუნით გაიგრიალებდა კედლებზე, ქეთევანი ისე შეჰკრთებოდა, რომ სკამიდან გადმოვარდნას ცოტა-და უკლდებოდა ხოლმე.

დარიკომ ჩამოიტანა „სხვენიდან“ „ნიგოზი“ (კაკალი), დასტეხა და დაუწყო ნაყვა ლობიოს შესა-

წარმოდგენა მხიარულად ჩაატარეს. ვინც-კი დაესწრო წარმოდგენას, დიდად ნასიამოვნი დარჩა. სრული შემოსავალი ხარჯს გარდა დანიშნული იყო დამშეულ გუბერნიების მკვიდრთა სასარგებლოდ. ვისურვებთ, რომ ჩვენს პატივცემულს სცენის მოყვარეებს შემდეგშიაც გაემართოთ ჩვენს მიძინებულს სენაკში წარმოდგენა.

*** სტამბოლის გაზეთების სიტყვით, ხონთქარს ახალ წელიწადს დღეს ოთხას ოთხასი ლირი (4,000 მანათამდეა) უბოძებია: სომეხთა, ბერძენთა და სომეხთა კათოლიკე პატრიარქებისთვის და ებრაელთა რაბინისთვის.

*** 22 იანვარს, ღამის 3 საათზე, ლაბორატორიის ქუჩაზე მარიამ ჭილაშვილის სახლში ცეცხლი გაჩნდა და სახლის ჭერი დაიწვა. ცეცხლი ცეცხლის მქრობელმა რაზმმა გააქრო.

*** ამავე დღეს არსენალის აღმართში სოფ. გაბრიეთის მცხოვრებელი ბაგრატ სამადაშვილი წაეჩხუბა სოფ. ბარის მცხოვრებელს საბედო ფოჩხიძეს და ცულით დასჭრა თავსა და მარცხენა მხარში. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს. დამნაშავეს დაეძებენ.

## მთავრობის განკარგულებანი

9 იანვარი

გადაყვანილ იქმნენ დიდის მთავარის გიორგი მიხეილის ძის კავკასიის მსროლელთა დრუჟინებში: კაპიტანი ყარანგოზოვი მე-2-ში; პოდპოლკოვნიკი აბელოვი და კაპიტანი დიდებულიძე 1-ში; პოდპორუჩიკი თავ. თავდგირიძე მე-4-ში; პორუჩიკი შავერდოვი მე-3-ში; პორუჩიკი დუმბაძე და პოდპორუჩიკი თავ. წერეთელი მე-2-ში.

მიღებულ იქმნენ თავ. ილია ავალიშვილი, ნიკოლოზ ლომჯანიძე და მელქისედეკ ხოხიაშვილი ტფილისის საფოსტო-სატელეგრაფო კანტორებში VI კლასის მოხელეებად. თელავის საფოსტო კანტორის VI კლასის მოხელე კოლეჟსკი სეკრეტარი კონსტანტინე მაჭავარიანი იმავე კანტორის ზედამხედველად დაინიშნა.

## ქართული თეატრი

მ. გედევანოვის ბენეფისი

გუშინ-წინ, 22 იანვარს, ქართულმა დრამატიულმა დასმა ბ-ნ გედევანოვის საბენეფისოდ წარმოადგინა ახალი პიესა, სამ-მოქმედებიანი ხუმრობა-კომედია, თ. სახოკიასა და ვ. გუნიას მიერ გადმოკეთებული: „აირია მონასტერი“, ვოდ. ალ. ჭიჭინაძისა „მოტია“ და დივერტისმენტი გაჰმართა.

ახალმა პიესამ ვერაფრად იპიესა, ასე რომ საკვირველია, რაზედ მოსცდა უბრალოდ ორი კაცი იმის გადმოკეთებისათვის. პიესა ფარსია და არც იმდენად სასაცილო, რომ იმისი სამ-მოქმედებად გაჭიანურება და გაპრტყელება ღირებულიყო. ერთ-მოქმედებად რომ შეემოკლებინათ, კიდევ სიამოვნებით მოისმენდა მაყურებელი. ამას ვილა სჩივის, საშინელის ენით არის ეს პიესა დაწერილი. ზოგან ისეთი სიტყვები და ფრაზებია, რომ უფრო ჩინურსა ჰგავდა, ვიდრე ქართულს. მაგალითებრ, სცენიდგან მოისმოდა: „ოთახი სიჩუმით იყო სავსე“, „გულმა გამირბინა“ და სხვანი მრავალნი.

მოთამაშეთ არა უჭირდათ-რა და არც ისეთი გასაჭირებელი საქმე ჰქონდათ, რადგან პიესის გადმოცემას დიდი ნიჭი და არტისტობა არ მოსდომებია. დასასრულ, „მოტიას“ შემდეგ, გაჰმართეს დივერტისმენტი, რომელშიაც ბ-ნმა ალექსი-მესხიშვილმა საუცხოოდ იმღერაბა რუსულად „შუმლიია“ და გედევანოვმა და შათირიშვილმა კუპლეტები სთქვეს. აბაშიძემ და გედევანოვმა სომხური კუპლეტები იმღერეს.

საკვირველია, რომ ჩვენს თეატრში წარმოდგენამ უეჭველად პირველ საათამდე უნდა გასტანოს. გუშინ-წინ, მაგალითებრ, მესამე მოქმედების ანტრაქტმა, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, საათ-ნახევარი მაინც გაიყვანა, თუმცა მოქმედება იმავე ოთახში სწარმოებდა, მომქმედნი ყველანი მომზადებულნი იყვნენ და დეკორაციები გამოსაცვლელი არა ჰქონდათ.

წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო. მობენეფისეს რამდენიმე საჩუქარი მიართვეს.

ჭ

## კავკასიის იურიდიულ საზოგადოების კრება

(დასასრული, იხ. „ივერია“ № 16)

ტფილისის გაზეთმა: „Тиф. Вѣст.“-მა და „დროებამ“ მწუხარებით მოიხსენიეს ტატოს ჩამორჩობა. უფრო საინტერესოა გაზეთ „დროების“ აზრი, რომელიც ვრცლად მოიყვანა ბ-ნმა ფრენკელმა. გაზეთს ის დედა აზრი გამოუთქვამს, რომ სინანულის ღირსია, რომ ასეთი გამბედავი ვაჟკაცი, როგორიც ტატო იყო, თავისს ძალღონეს საზიზღარს საქმეებს ახმარებს და არა თავის მოძმეთა კეთილდღეობასაო.

შემდეგ ფრენკელი შეუდგა იმ მიზეზების გამორკვევას, რამაც დაჰბადა ტატო წულუკიძე.

ჩვენი ცხოვრება ჯერ-ჯერობითაო, სთქვა რეფერენტმა: ერთს კალაპოტში არ ჩამდგარა, კიდევ ბევრია ჩარჩენილი ძველის ცხოვრების შესაფერი ზნე-ჩვეულება, რომელიც ახალს დროს ვერ ითვისებს, და ამ ძველისა და ახალის ყრუ ბრძოლა-ჭიდილში სიკეთე არ ეტყობა აღარც ძველს და აღარც ახალს. ამას კარგად ასურათებს ტატოს ზნეობრივი ფიზიონომია. იგი რაინდიც არის და მდაბალი სულითაც. კაცს ხანჯალი ატაკა მარტო იმისთვის, რომ გაესინჯა, ახალი ხანჯალი კარგად გასჭრის თუ არაო. ერთი წილი ჩვენის საზოგადოებისა განუვითარებელია ზნეობით. ვერ ვიტყვით, რომ იგი ნაწილი ტრფიალებით უცქეროდა ამ ახოვანსა და ლამაზს ვაჟკაცს, მაგრამ იმას-კი თამამად გავიმეორებ, რომ არც ზიზღი მოსდიოდა იმის ყურებით. თანაგრძნობა რომ არა ყოფილიყო, განა შესაძლებელი იქმნებოდა ერთის კაცისგან ასეთი თამამი ნავარდობა ამოდენა ქალაქში? მედუქნეები, კინტოები, სხვა-და-სხვა გასართობ ბაღების პატრონები—ყველა ხელს უმართავდა ტატოს, პოლიციას გზას უბნევდა. ორმოც-და-ექვსი თანამგრძნობელი აღმოჩნდა ტატოსი ჩემ მიერ გაჩხრეკილს საქმეებში და ვინ დასთვლის, ისე კიდევ რამდენი იყო.

საყურადღებოა კიდევ ის გარემოება, რომ სამართალი და გამოძიება ღონდიალით მიდიოდა და დროზედ ვერ ათავებდა გამოძიებას და მსჯავრს ვერ დასდებდა ხოლმე. სასურველი ჩქარი და ფიცხელი სამართალი, თითქოს სადღაც გადიხვეწაო. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მეტად სუსტობდა პოლიცია; იგი საკმარისად არ იყო ძლიერი, რომ დროზედ მიელო ჯეროვანი ღონისძიება და ბოლო მოეღო ტატოს მოქმედებისათვის.

ბ-ნმა ფრენკელმა თავისი საინტერესო რეფერატი დაასრულა გაზეთ „დროების“ სიტყვებით—ტატო ნაყოფია ჩვენის საზოგადო ცხოვრებისა და გულის ტკივილით უნდა მოვიხსენიოთ მისი სახელიო. მაგისთანა ტიპები ყოველთვის ჩნდებიან, როცა ცხოვრება იცვლება. სიმდაბლე სულისა, ჰუჭიანი ზნეობა და ვაჟკაცობა ერთად არის მათში მოქცეული. ფრენკელის სიტყვით, ტატო ბევრად ჩამოუვარდება განთქმულს არსენას და, ასე გასინჯეთ, ქიარიმასაც-კი.

ა—ლი

## დაბა დ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

თელავი. 16 ამ თთვისას თელავის საზოგადო კლუბის დარბაზში მოხდა კრება თავად-აზნაურთა თ. ზაქარია იასეს ძის ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით. ამ კრებაზე განხილულ იქმნა თ. ზაქარია ანდრონიკაშვილის აზრი შესახებ იმისა, რომ თელავისა დ სიღნაღის მაზრაში დაარსდეს საზოგადოება, რომელსაც აზრადა უნდა ჰქონდეს კახურის ღვინის გაყიდვა. თ. ანდრონიკაშვილმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა და განმარტა, თუ რა დიდი სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს ჩვენს მემამულეებს და აგრეთვე მდაბიო ხალხსაც ამ საზოგადო დაწესებულებამ; სთქვა, რომ ერთად ერთი წყარო ცხოვრებისა თელავის დ სიღნაღის მაზრის მცხოვრებთათვის არის შემოსავალი ღვინისაო და თუ ეს საქმე არ განვაკარგეთ, მკვიდრს ნიადაგზე არ დავამყარეთ, ჩვენს კეთილ-დღეობას ცუდი ბოლო მოეღებაო. როგორც შეგვინიშნავს, ჩვენის ღვინის გასყიდვის საქმე თანდათან ცუდად მიდის და შემდეგშიაც იმედი არ არის, რომ ეს ერთად-ერთი წყარო არ მოგვაკლდება და სრულს სასოწარკვეთილებაში არ ჩავცვივით, თუ ეხლავე რომელსამე რიგიანს ღონისძიებას არ მივმართავთ. ამისათვის უნდა ვეცადნეთ, რაც შეიძლება, ბოდეს, კახურს ღვინოს ფასი მოემატოს და არამც თუ ალაგობრივ იყიდებოდეს, არამედ საზღვარ გარედაც გავიდეს. კახურის ღვინის ღირსება უკვე განთქმულია მთელს რუსეთში და აგრეთვე ევროპაშიაც, თუმცა, დაგარწმუნებთ, რომ არც ერთს რუსეთის ქალაქში და მით უფრო ევროპაში, კახური ღვინო არ მოიპოვება და მესარდაფენი მხოლოდ ჩვენის ქვეყნის სახელით სარგებლობენ. მაშასადამე, ჩვენ უფრო ადვილად შეგვიძლიან ვისარგებლოთ ჩვენსავე საკუთრებით, ვიდრე სხვას, რასაკვირველია, თუ ვეცდებით და ეს ორი მაზრა შევერთდებით. რადგანაც ეხლა არც მე და არც თქვენ არა გვაქვს საკმარისი დრო, რათა განვმარტოთ იმ საზოგადოების წვრილმანი წესნი, ამისათვის მე მოკლედ მოგახსენებთ. ყოველი მემამულე კახეთისა, იმ განზრახულის საზოგადოების წეს-წყობილების ძალით, მოვალე იქნება თავისი მამული კარგად შეიმუშაოს, ღვინო უკეთესად დააყენოს და შემდეგ ეს ღვინო გადასცეს საზოგადოების გამგეობას, რომელიც ღვინის პატრონს მაშინვე ჩააბარებს ნახევარს ფასს ღვინისას, რათა შეეძლოს განაგრძოს მამულის შემუშავება მომავალ წლისათვის; შემდეგ, როცა ღვინო სრულიად გაიყიდება, მემამულე მიიღებს დანარჩენს ნახევარს ფასსაც, მოგება-კი შუაზე გაიყოფა. ერთი ნაწილი მოგებისა გადადებული იქნება ვალის მოსაშორებლად, მეორე ნაწილი-კი შუაზე გაიყოფა; ერთს ნაწილს ისევ მემამულე მიიღებს, ხოლო მეორეს—საზოგადოების გამგეობა—თავის სახარჯოდ. იმავე ამხანაგობის წესდების თანხმად არც ერთს მემამულეს არ ექნება ნება ღვინო კერძო კაცს მიჰყიდოს და უეჭველად ამხანაგობის მმართველობას უნდა გადასცეს. რათა „საზოგადოება“ აცილებული იყოს დამფასებელთ ბოროტ-მოქმედებასა, ყველა სოფლის ღვინოს თავთავისი ფასი ექნება დადებული, კარგის თვისებისას და მდარეს. დარწმუნებული ვარ, რომ ახალს ჩვენს „საზოგადოებას“ კარგი შედეგი ექნება და საქმეც კარგად წავა, რადგანაც კახურს ღვინოს დიდი ბაზარი გაეხსნება საზღვარ გარედ. მე შემიძლიან ბევრი მაგალითი დაგისახელოთ, რომ ეხლანდელნი ჩვენი ღვინის მყიდველნი, რომელნიც აქ საპალნეს ათ თუმნად ჰყიდულობენ, სხვა მხარეში იმ ათს თუმანს სხვა ოცს თუმანს აგებინებენ. ეს მე ჩემზე გამომიცდია, რადგანაც მე თვითონ ღვინის ვაჭარი ვარ და სარდაფიცა მაქვს.

როცა თავ. ზაქარიას ჰკითხეს, საიდგან შეგვიძლიან მოვიპოვოთ თანხა ამ საქმის დაწყებისათვისაო, თ. ანდრონიკაშვილმა მიუგო, რომ, რა-

---

კმაზად. პატარა ქალი მიუჯდა დარიას, ეძებდა მიწაზე კაკლის გულის ნაფინჩხარს და სჭამდა. ქეთევანი ხან სთვლემდა და ხან შეშინებულის თვალით შეხედავდა კარებს, რომელსაც ქარი არახუნებდა საკარელზე. ამ დროს მოისმა გარედან თოლიას ყეფა.

— ვინც-ხა მოვიდა, სთქვა დარიამ. ქეთევანს ხელები უფრო აუკანკალდა შიშისაგან.—ვინ იქნება ახლა? იკითხა შეშინებით.

პატარა ქალმა გააღო კარი და გასძახა: „მობძანდი!“

— რაღა მობძანდი, ვინც-ხა არის, ძაღლი შინაურსავით ეფერება! სთქვა გაკვირვებით დარიამ.

მართლა, თოლიამ შესწყვიტა ყეფა და წკმუტუნით ეალერსებოდა ახალ-მოსულს; დარია მიუახლოვდა კარებს და შეშინებით სთქვა:—ბატონო, ვინც-ხა ჩამოსულა ეზოში, ნელ-ნელა ათვალიერებს ეზოს და მუა აქეთ. თოლიეი ეხოვა და ეფერება. იმისთანა ბნელია კარში, რომ ვერ ვიცანი, ვინ არის.

— ვინაა ნეტაი? ვინ ბრაძნდებითქვა, დუუძახე, ხმის კანკალით სთქვა ქეთევანმა.

დარიამ ვერ მოასწრო დაძახება, რადგანაც ახალ-მოსული ამ დროს მოადგა კარებს. „სიმონ!“ სიხარულით დაიძახა დარიამ.

— ვინ სიმონ!... ჩემი სიმონ... აჰ, ჩემი... სადა... ბოდვის მსგავსად წამოიძახა ქეთევენმა და, თითქო ეხლა ავად აღარ არისო, წამოვარდა ზეზე.

დედა და შვილი მოეხვივნენ ერთმანეთს, თან ჰკოცნიდნენ და თან სტიროდნენ. ტირილი ასეთს შემთხვევაში ისტორიაა ყველა იმ სევდა-ნაღველისა, რომელიც ნათესავებს, ან შეყვარებულებს ერთმანეთთან დაშორებით გადაჰხედიათ.

— შვილო, დარიკო, არ აკოცებ შენს სიმონს, არ მოეხვევი! ბევრი ცრემლი დაღვარე შენც ამის გულისთვის. შენი დაფარული ტირილი უფრო მიკლავდა გულს; უთხრა ქეთევანმა დარიკოს, რომელიც მორცხვობის გამო ვერ ჰბედავდა სიმომონასთან ახლო მისვლას.

— რა ქენი, დარიკო, აღარ დაგავიწყდი ამდონ ხანს? უთხრა სიმონამ, რომელიც ამ დროს მივიდა დარიასთან, და ქეთევანის სიტყვებით გათამამებული დარიაც მოეხვია საქმროს.

სამ წლი-ნახევრის განმავლობაში სიმონამ პირველად შემოდგა ფეხი თავისს სახლში. რადგანაც გამოუცდელი იყო და სამსჯავროში თავის სიმართლე ვერ ახსნა, ამიტომ სამსჯავრომ გადაუწყვიტა სიმონას სამ წელ-ნახევარს ციხეში ჯდომა და ცხენის გადახდა. ტყუილად ჩაიარა, რა თქმა უნდა, საქმის გადაწყვეტის შემდეგ, ქეთევანის არზებით ხელში გუბერნატორთან, პროკურორთან და სხვებთან სირბილმა. ტყუილად ჩაუარა ქეთევანს დავითის წინაშე ხვეწნა-ვედრებამაც. დავითი დარწმუნებული იყო ცხენი სიმონამ მომპარაო და სრულიადაც არ უნდოდა სიმონას სასჯელი შემსუბუქებოდა. „თუ მართალია-და ეე სამართალი და გაამართლოს, ჩემი რა საქმეა“ო, ეუბნებოდა დავითი ქეთევანს. ეხლა ეს იყო, სიმონას შეესრულებინა პატიმრობის ვადა და გამოეშვათ შინ. სიმონა დაჯდა „ჯორკოზე“ (პატარა დაბალი სკამი), მოეფერა ქალს,—თავის დედის ნათესავს და შემდეგ იკითხა:

— ნენავ, ჩვენი დიდი სახლი?

— გაგვიყიდეს, შვილო, გადასახადში; ტირილით უპასუხა დედამ.

— ხარებიც?

— ხარებიც.

— ახლა რაღა სიცოცხლეა, ჩემი სიცოცხლე! ბარემ ჩავმკტარიყავი იმ ციხეში! მითხარით, ახლა არ ვემართლები იმას, ვინც ასე უსამართლოდ დამღუპა, იი რომ დავკლა!

— შვილო, შვილო, ღმერთს ნუ სცოდავ, რა თქვი აი საშინელი! კაცის დაკვლა რავა იქნება! შენ ცოცხალი იყავი და ყოლიფერს იშოვნი. შვილო, ჩემი დღეი შეგემატოს, დავითის საყვედურს ნურავის გააგონებ. ხომ იცი, შვილო, მდიდარი კაცია და მდიდარს ყოლთვის უჭრის ხმალი ლარიბზე. ნუ, გენაცვალოს დედა, დავითის ძვირს ნუ იტყვი. გვაწყინა უდანაშაულოს და, თუ მოინდომა, კიდევაც გვაწყენს.

— ჰმ! საყვედურიც აღარ ვთქვა, კაცმა უსამართლოდ დამაქცია და საყვედურიც ველარ გუუბედო! აგიც სიცოცხლეა! მწარე ხმით სთქვა სიმონამ და მიიწია ცეცხლისკენ, რადგანაც ტანში არა ჩვეულებრივი სიცივე იგრძნო.

ე. ნინოშვილი

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი მთელი კახეთი შეერთდება და სურვილს გამოაცხადებს ზემო-ხსენებულის ამხანაგობის დაწესებისას, ჩვენ უნდა შევადგინოთ წესდება, რომელიც იქნება დამტკიცებული უმაღლესის მთავრობის-მიერ; მაშინვე დავამზადებთ აქციებს და იმედი მაქვს, რომ მათ მყიდველნი არ დააკლდებიან, რადგანაც ყველას ესმის, რომ ეს საზოგადოება ძალიან ასარგებლებს აქციის პატრონს.

დღეს იმიტომ გთხოვეთ მობრძანებულიყავით, რომ გადმოგცეთ ეს ჩემი განზრახვა და იმედი მაქვს, თქვენც გულ მხურვალედ მოეკიდებით ამ საქმეს და თქვენის მხრით სხვათაც უამბობთ და აუხსნით, რა დიდი სასარგებლო საქმის დაწყებას შევდგომივართ. თქვენის მაზრის თავად-აზნაურთ წინამძღოლის თ. ილია ჯორჯაძის დახმარებით ჩვენ უნდა შევადგინოთ სია თელავის მაზრის მემამულეთა და აგრეთვე გლეხთა, გავიგოთ, ვის რა მამული აქვს და ან იმ მამულს რა ვალი ადევს. ერთის სიტყვით, ჩვენ მიერ განზრახულს ამხანაგობას ექნება აზრად: 1, ხელიდგან არ გამოგვეცალოს ჩვენი მამულები და საშვილიშვილოდ დარჩეს, რაც გადმონაცემი გვაქვს ჩვენთა წინაპართაგან, 2, ამ აზრის განსახორციელებლად აუცილებლად საჭიროებაა მოვიშოროთ ის ვალი, რომელიც აწევს ჩვენს მამულებს და 3, მამულები განკარგებულ იქმნას. ჩემის აზრით, ამ გზით თუ შეგვიძლიან ავიცილოთ უკვე მოახლევბული უბედური მდგომარეობა ჩვენი, თორემ სხვაფრივ ვერაფრით ვერ შევიძლებთ.

საზოგადოებამ გულმოდგინედ მოისმინა თ. ზაქარია ანდრონიკაშვილის სიტყვა და ტაშის კვრით გამოუცხადა თავისი თანაგრძნობა. კრებაზე საკმაო თავად-აზნაურობა დაესწრო, აგრეთვე მაზრის უფროსი თ. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი და თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. ილია ჯორჯაძე. ღმერთმა ინებოს, რომ ეს ფრიად კეთილი აზრი აზრად არ დარჩეს და კიდეც განხორციელდეს—.

ი. ზ—შვილი

---

## დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის გამო.

(წერილი მოსკოვიდამ)

განსვენებულ პროფ. დავით ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკაში ერთი საინტერესო ხელთნაწერი ვნახე. ეს ხელთნაწერი გახლავთ: „განმარტება პოემა ვეფხის ტყაოსნისა, ქმნული მეფისა გიორგი მეათცამეტის ძის თეიმურაზის მიერ, კავალერისა და სრულიად როსიის ს-პეტერბურგის აკადემიაა ნაუკისა, პირველთა ელენთა შორის აღრიცხულისა პოჩოტნოი ჩლენისა და დანიის საკოროლოს კოპენჰაგენის სამეფოს საანტიკვაროსა შეკრებულებისასა შინა პირველთა ელენთა შორის დაწესებულისა და პარიჟის სოსიეტე აზიატიკის ჩლენისა“.

პირველს გვერდზედ თავის თხზულებისა ბატონიშვილი თეიმურაზ დაახლოვებით ახასიათებს თავისს ნაშრომს—იგი იქნებაო: „განმარტება ლექსთა მათ მაღლისა ფრასისათა, რომელნიცა არიან ძუელნი ქართულნი და რომელნიმე შემოტანილნი სხუთა ენათაგან ქართულსა ენასა შინა. და აქა ვეფხის ტყაოსნისა სტიხთა შინა ხმარებულ არიან, რომელნიმე ლექსთა ამათგანნი გუართა აღმოსავლეთისა მესტიხეთა მეტაფორიისათა ქმნილ არიან“.

განმარტება მოქცეულია ერთს დიდს ხელთნაწერს წიგნში და შეიცავს ახსნას, თითოეულ სტიხის და ტაეპის რიგობაზედ, ძველ სიტყვებისას და მთელის წინადადებისას. მაგალითად:

სტიხ. 2) ტაეპი 1) „მიჯნური ქართულად ეწოდების, არაბულად ბაჯნუნი ეწოდების, ტრფიალად გამოითარგმნის.

ტაეპი 4) გასტეხს ქუასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა. ამას უძღვნის ერთს გვერდს ახსნას. ბატონიშვილი განამარტებს აზრს რუსთაველის სიტყვებისას. ეს ხელთნაწერი ძვირფასია, გარდა იმისა, რომ ახსნილია ძველი სიტყვები, იმითიც, რომ შიგ ჩართულია ჩვენის მწერლების შესახები ცნობანი. ეს ცნობანი შეგვხვდა რუსთაველისა, მოსე ხონელისა და შავთელის შესახებ და მოგვყავს აქ ბატონიშვილის სიტყვებით.

„რუსთაველი ესე ადგილობითს ნათესაობას ნიშნავს, სადაურიც იყო. სახელად შოტა ერქვა, ანუ შოთთა. შოთთა დიაღ ძველი სახელი არის, არმაზ კერპის სახელივე არს შოტა და ესე სახელი დაშთა შემდგომად კერპთ მსახურებისაცა ივერიელთა შორის. შოთა რუსთაველი მეჭურჭლეთ უხუცესი ანუ მოლარეთ-უხუცესი (გინა მინისტრი ფინანსი) იყო დიდებულისა მეფისა თამარისა და დიდად ბრძენი. რუსთაველი ამისათვის ეწოდება: რუსთავის ქალაქი ძველად სამთავრო ქალაქი იყო და რუსთაველი შოტა იმ ქალაქისა და გარემოსა მისისა მთავარი იყო და თვითცა მუნებური. რუსთავის ქალაქი არის ბოსტან ქალაქი, რომელიცა პირველ აღშენებულ არს ქართლოსის ცოლისა მიერ. ესე ქალაქი მტკვრის პირზედ, გაღმით, კახეთის მხარეს არის, ტფილისის ქვემოდ, ტფილისიდამ ექვსი ან ექვს-ნახევარი მილი იქნება ნემეცური (ანუ გერმანული). ეს რუსთავის ქალაქი ეხლა დაქცეულია და იმ ადგილს ნაგებს ეძახიან. მრავალი შენობები არის დარღვეულობისათვის გულ-ლახვარსობილი. ესე იგი გულითა მისთვის მოწყლული, გინა მტკივნეული“.

ხელი-ნაწერის ბოლოში რუსთაველის შესახებ კიდევ შემდეგს ცნობასა ვპოულობთ: „რუსთაველი იყო მთავარი რუსთავისა, თამარისაგან დანიშნული. გორგიჯანიძის ისტორიაში ვკითხულობთ: მეფემან რუსუდან მოინება წარგზავნა თათართა თანა ძისა თვისისა დავითისა და აღილოშანა და ფიცი მათგან უვნებულობისა, ხოლო მოციქულად გაგზავნა თათართა მიმართ მთავარნი თვისნი, დიდებულნი კაცნი შანშე და ავაქ და ვარამ გურიელი და ერეთის ერისთავი შოთა, რომელნიც მელნის სეფობისათვის კუპრობით იხსენიება... რუსთაველი იყო აზნაურთა წარჩინებულთა შთამომავლობისა, ყოველთა თანამედროეთა აღემატებოდა სიკეთითა, ზნეობითა, სწავლულებითა, მშვენიერებითა. შექმნა „ვეფხის ტყაოსანი“ ბრძანებითა თამარისათა. იგი შეწყობილია ძველსა ქართველთა აზნაურობათა ჩვეულებათა და ხარაკტერსა ზედა ენისა ჩვენისა... იგი იყო დიდი პიიტიკოსი. სხუანიცა წიგნი მსმენიეს მრავალთაგან, შოთა რუსთაველისა ნათხზევნი არიანო, მაგრამ ჯერედ ვერა მივუმთვივე... წავიდა შოთთა იერუსალიმად და შევიდა მონასტერსა შინა ქართუელთასა, რომელიც აღშენებულია მირიან I და ვახტანგ გორგასლანისაგან სახელზედა ცხოველს მყოფელსა ჯუარისასა და განაახლა შოთთამ მონასტერი იგი. იყო მონასტერსა შინა სახითა ერის კაცისათა და დაეფლა მუნვე.

სტ. 1589, ტ. 1) ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა. მოსე ხონელი მდივან-მწიგნობარი ყოფილა მეფის თამარისა (ხონი იმერეთში არის). უწინარესთა ჟამთა ხონი ქალაქი ყოფილა, ახლა მუნ ეკკლესია არის და სოფელი-დაბა. მოსე ხონელს დაუწერია ამირან დარეჯანის ძის წიგნი, დიაღ მშვენიერი ზღაპარნი გმირთა და ძლიერთა მამაცთა ბრძოლანი, რომელიცა განიყოფების ათოთხმეტ კარად.

ტ. 2) აბდულ მესია შავთელსა ლექსი მას უქეს რომელსა. აბდულ მესია იყო ადგილით შავთით, ეს არს მამული სამცხისა ახალციხის გარემოები. ესე იყო მდივან-წიგნობარი დიდისა თამარისა. ესე ქართველთა პიიტიკოსთა შორის მაღალი გმირი არს. აქვსთ შეთხზულთა მის მიერ სტიხთა მაღალი ფრასი, რითმანი სხვა-და-სხვა გვარად სათარგმანები, ტკბილი ღარმონიკი აზრითა შესაბამიერითა, სავსე მშვენიერებითა ლექსებისათა შემკობილი და საქებელი. აბდულ მესია ითარგმნების მონად ქრისტესი, სახელად ეწოდა მას. ამისნი გვქონან ლექსნი შესხმანი სამქებრონი თამარ მეფისანი, ხოლო გაუკეთებიეს ამას სტიხად წიგნი. აბდულ მესია სახელდებდიეს წიგნსა მას, რომლისთვისცა იტყვიან, რომელ ფრიადისა მაღალისა ხელოვნებითა ყოფილან სტიხნი მისნი შეთხზული და იმ ჟამისა ყოველთა სიბრძნის მოყვარეთა ქართველთა. ლექსნი შავთელისანი და თვით რუსთველისცა არა ჰფარავს ქებასა. შემდგომად მდივან-მწიგნობარი ესე აბდულ მესია შემონოზნებულა და იოანე უწოდებიათ სახელად, გელათის მონასტერში შესულა და იქ უცხოვრია და მუნ აღსრულებულა და იმ იოანე აბდულ მესია შავთელს მრავალნი წიგნნი აღუწერია ქართულნი.

ტ. 3) დილარგეთ სარგის თმოგველსა მას ენა დაუშრომელსა. სარგის (ანუ სერგიოს) თმოგველი მდივან-მწიგნობარი ყოფილა თამარ მეფისა. თმოგვი სამცხე ახალციხის საზღვარში არის (ციხე და მცირე ქალაქიც ყოფილა იქა). დილარგეთისა წიგნი მშვენიერი ზღაპარი შეუთხზავს სარგის თმოგველსა. დილარ ჭაბუკი ვინმე ყოფილა ძლიერი და გვარეულობითა, ესე იგი ნათესაობით, გეთი ანუ გეტი. დიაღ ჩინებული წიგნი ყოფილა დილარისა და სხვანიცა წიგნნი აღუწერია სარგის თმოგველსა, როგორადაც რომ ვისრამიანი ფრიადისა ენა-მზეობით არს შეთხზული.

ბატონიშვილის ხელნაწერი იმდენად საყურადღებოა, რომ სასურველია დაიბეჭდოს მოკლე ხანში.

ა. ხახანაშვილი

---

## წერილი ქუთაისიდგან

ქართულ წიგნების ბეჭდვის ამხანაგობა ჩვენშიაც დაარსდა იმ ნაირისავე წეს-რიგით, როგორითაც ტფილისშია დაარსებული ამ გვარივე საზოგადოება. აი უმთავრესი საყურადღებო ცნობანი ამ საზოგადოების შესახებ.

პირველი კრება ამ ამხანაგობის წევრთა 11 ამ თთვისას ჰქონდათ სააზნაურო დეპუტატთა დარბაზში. თავმჯდომარეობდა ამხანაგობის დროებითი ხაზინადარი ბ-ნი ალ. გარსევანიშვილი, რომელმაც აუხსნა კრებას დანიშნულება და საგანი ამხანაგობისა. ამას შემდეგ არჩეულ იქმნა თავმჯდომარედ გ. წერეთელი, რომელმაც უპირველეს ყოვლისა წაიკითხა ამხანაგობის პირობის ქაღალდი. აქ გაიმართა კამათი პირობის ზოგიერთ მუხლის შესახებ, მაგრამ ბოლოს პირობა თითქმის შეუცვლელად შეწყნარებულ იქმნა კრების მიერ. ახლა ჯერი მიდგა გამგეობის არჩევანებზე. ვიდრე არჩევანი დაიწყებოდა, ბ-ნი გ. ზდანოვიჩი წამოდგა და იკითხა: რა ურთიერთობა და დამოკიდებულობა უნდა ჰქონდეს ჩვენს ამხანაგობას ტფილისში დაარსებულს ამ გვარსავე საზოგადოებასთანაო. კრებამ განმარტა, რომ სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო ჩვენი ამხანაგობა სულ განცალკევებული ამხანაგობა უნდა იყოს და სხვა ნაირად საქმე არ მოხერხდებაო. ამავე დროს ერთმა დამსწრეთაგანმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა იმის შესახებ, რომ ჩვენ ტფილისის ამხანაგობას გზაზე არ უნდა გადავეღობოთ, ხელი არ უნდა შევუშალოთ, არამედ იმის მიერ დაბეჭდილ წიგნების გავრცელებას უნდა ვეცადნეთ და უსასყიდლოდ ვყიდოთ ჩვენს მაღაზიაში და აგენტებთანაო. კრებამ მოიწონა ეს აზრი.

შემდეგ შეუდგნენ არჩევანებს და დაასახელეს სხვა-და-სხვა კანდიდატი, მაგრამ ზოგმა დასახელებულთაგანმა უარი განაცხადა რაისამე თანამდებობის მიღებაზე. არჩეულ იქმნენ: ამხანაგობის მმართველად ბ-ნი გარსევანიშვილი ადმინისტრატორად ს. დათეშიძე, ხაზინადრად თ. მთავრიშვილი და მდივნად—ნიკოლაძე. მეორე კრება ამხანაგობას 18 ამ თთვისასა ჰქონდა და სარედაქციო კომისიის წევრებად აარჩია: გ. წერეთელი, ალ. ნანეიშვილი, ს. ხუნდაძე, კ. ბაქრაძე და კ. გოცირიძე. ამავე კრებამ გადასწყვიტა, დაბეჭდოს სულ 400 პაი, თითო 25 მ.

ამ ჟამად ამხანაგობას 120 წევრზე მეტი ჰყავს.

---

# რუსეთი

წარსულის წლის უკანასკნელს თთვეებში რუსეთი დარწმუნდა, რომ იმაზე უფრო დიდი სიმშილი სწვევია, ვიდრე მანამდე ეგონა. ამის გამო მთავრობამაც უფრო უხვად დაიწყო შემწეობათა დარიგება თუ ხალხის გამოსაკვებად და თუ სათესლე ჰინახულის სასყიდლად. პირველ დეკემბრამდე ხაზინამ ამ საგნისათვის გაიღო სულ 55 მილიონ მანათზე მეტი. ამ ფულისა 24 მილიონი ნოემბერსა და ოქტომბერშივე დაიხარჯა. დეკემბერში ხაზინამ კიდევ 17 მილიონამდე გაიღო, ასე რომ ახალ—წლისათვის მთავრობას დამშეულთა სასარგებლოდ სულ $72_{,69}$ მილიონი ჰქონდა დახარჯული. თუმცა ეს ფული დიდი ფულია, მაგრამ მთავრობას ჯერ კიდევ უფრო უდიდესი ხარჯი დასჭირდება, თუ მხედველობაში ვიქონიებთ შემდეგს ვარაუდს.

გამოანგარიშებულია, რომ მოუსავლობისაგან უფრო დიდად დაზარალებულ 17 გუბერნიის მცხოვრებთ საკვებად ყოველ თთვე სჭირდებათ 9.922,000 ფუთი პური, ხოლო ამდენ-ამდენი უნდა ეძლიოთ პირველ ივლისამდე, ე. ი. 6 თთვის განმავლობაში კიდევ. მაშასადამე, საჭირო იქნება კიდევ $59,_{5}$ მილიონ ფუთზე მეტი ჰინახული ხალხის გამოსაკვებად. ამაზე ნაკლებად ვარაუდობა ყოვლად შეუძლებელია. კიდევაც შესაძლებელია, იმაზე უფრო მეტი აღმოჩნდეს დამშეულთა რიცხვი, ვიდრე ოფიციალურად გამოანგარიშებულია, და ამის გამო პურიც მეტი შეიქმნას საჭირო. ამას გარდა, გაზაფხულზე დასათესად დასჭირდებათ $37,_{48}$ მილიონ ფუთზე მეტი სათესლე ჰინახული, ასე რომ ხალხის საკვებად და სათესლედ სულ 97 მილიონი ფუთია საშოვნელი. თვით დამშეულს გუბერნიებშივე მოიპოვებოდა მილიონი ბა $42,_{7}$ ფუთი პური და, მაშასადამე, სასყიდელი რჩება $49,_{47}$ მილიონი ფუთი.

კითხვა არ უნდა, რომ თუ იყიდიან პურს, სათესლედ თუ საკვებად, ეხლავე უნდა შეისყიდონ, რადგანაც დამშეულს გუბერნიებში მომეტებულს ნაწილს ადგილას მარტსა და აპრილში იციან ნაოშების ხვნა და, მაშასადამე, სათესლეც ადრევე უნდა დაურიგდეს გლეხებს. მეორეც, მხედველობაში უნდა იქმნას მიღებული, რომ გაზაფხულზე გზები შეიკვრება წყალდიდობის გამო და ამ გარემოებამ უფრო უნდა დააჩქარებინოს მეთაურებს ეს საქმე. ზოგი ჰინახული, როგორც ზემოდაც ვსთქვით, თვით დამშეულს გუბერნიებშივეა და ზოგსაც მიტანა დასჭირდება უმთავრესად რკინის გზებით. რკინის გზების რიგიანად გარჯას დიდი ხელის შეწყობა შეუძლიან ამ საქმისთვის. რუსეთის რკინის გზებს ყოველ თთვე დამშეულს გუბერნიებში შეუძლიან მიიტანოს $14^1/_2$ მილიონი ფუთი პური, სულ-კი მისატანი თითქმის 65 მილიონი ფუთია, მაგრამ აქედგან ზოგი ჰინახული ურკინის-გზოდაც მიაღწევს დანიშნულს ალაგს, მაგალითად, ყინული რომ აეხდება მდინარეებს, გემებით წაიღ-წამოიღებენ.

თთვით ჰინახული, რუსეთის გაზეთების სიტყვით, შესყიდულ უნდა იქმნას სამხრეთ-დასავლეთს რუსეთში, ბესარაბიასა და კავკასიაში, სადაც წლეულ დიდი მოსავალი იყო და საიდამაც უკვე მრავალი ჰინახული წაიღეს დამშეულს გუბერნიებში.

---

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** რითი დაბოლოვდა 7 იანვარს საფრანგეთის პალატაში მომხდარი ამბავი? ლორი ყოყმანობდა საბრძოლველად გამოვიწვიო კონსტანი, თუ სამართლის შემწეობით დავუწყო დევნაო. როგორც მკითხველებმაც უწყიან, როშფორსაცა ჰკითხა რჩევა და პასუხად მოუვიდა, არც სამართალია საჭირო, არც ბრძოლაო. პირველში ამ რჩევას დასთანხმდა ლორი, მაგრამ შემდეგ-კი სულ სხვაფრივ დატრიალდა საქმე. ზოგნი ამბობენ, რომ სხვა დეპუტატებმა დაატანეს ძალაო, ზოგნი—როშფორისაგან მეორე დეპეშაც მოუვიდა:

„აზრი გამოვიცვალე; ებრძოლეთო“. ასეა, თუ ისე, საღამოს 6 საათზედ ლორმა ორი თავისი მეგობარი გაჰ-გზავნა კონსტანთან. პირობა ის იყო, რომ ორივეს სამ-სამჯერ უნდა ესროლათ თოფი, 20 ნაბიჯის მანძილზედ. სხვათა შორის ამის შესახებ ლორი თავისს მეგობარს დიუმონტელსა სწერდა: უნდა ვიბრძოლო იმიტომ-კი არა, რომ ლაქა ჩამოვრეცხო იმის პატიოსნებას, არამედ იმიტომ-რომ, რა-კი შემთხვევა მეძლევა იმის მოკვლისა, მინდა ვსცადო, იქნება შევიძლო და ქვეყანა განვათავისუფლო ამ კაცისაგან. თუ ვიბრძვი, საზოგადოების კეთილ-დღეობისათვის ვიბრძვიო“. აი სეკუნდანტებისაგან პასუხად რა წერილი მისვლია ლორს: „საყვარელო მეგობარო! დღეს კონსტანთან მივედით, რომ თქვენის სურვილის თანახმად დაკმაყოფილება გვეთხოვნა. იმან ერთის თავისის მოხელეს პირით გადმოგვცა, რომ ბრძოლა არა მსურსო. რა-კი ასეთი პასუხი მივიღეთ, ჩვენ ჩვენს მოვალეობას ასრულებულადა ვსთვლით“. ამ ამბის გამო ლორმა მისწერა: „საყვარელო მეგობრებო! როცა კონსტანს უკან 300 კაცი თავისი მომხრე მოსდევდა და უკანიდგან მომეპარა, მაშინ არც-კი უფიქრია, ისე დამკრა საზიზღრად. ეხლა-კი, როდესაც მარტო იქნება იძულებული ჩემის დამბაჩის წინ დგომას, უარს ამბობს. მაგრამ რა, პირველად ხომ არ ჰმოქმედებს ის ამ გვარადო. კონსტანი აი თავისს პასუხს რითი ასაბუთებებს: „საშაბათს საღამოს ლორის გარდაწყვეტილებას ველოდი, მაგრამ იმან როშფორს მიჰმართა რჩევისათვის. ყველა დილის გაზეთშია ლორის პასუხი დაბეჭდილი; ამ გვარად ლორმა ახალი საშუალება გამოსძებნა და ახლა სხვა შეურაცხება მომაყენა. ლორს ჩემგან გამომწვევ-სეკუნდანტები არც დილიათ გამოუგზავნია და არც იმ დღეს; შემდეგ ჩვეულებრივ ბურბონის სასახლეში წასულა, სადაც ვიღაცას შეხვედრია და რაღაცა უნახავს. და აი მხოლოდ საღამოს 6 საათზედ გამოგზავნა ჩემთან თავისი მეგობრები. არ ვიცი, ამას შემდეგ კიდევ ახალი ბრძანება რამ მოუვიდა თუ მრა ლორს როშფორისაგან, მაგრამ მთელს სიცოცხლეს იმას ვერ მოვანდომებ, აცა, ვნახოთ, ლორი რას იტყვის-მეთქი. ლორი, რომელსაც როშფორი ჰხელმძღვანელობს დეპეშით“.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მოსალოდნელის სკოლის სასარგებლოდ სტეფან-წმინდაში კიდევ შემოსწირეს შემდეგთ თავისი წვლილი: ჯღუნა ფიცხელაურმა 1 მანეთი, ლევანა ალიბეგოვმა 60 კ. ვანიუხა გიგაურმა 60 კ., ესტატე წიკლაურმა 1 მანეთი, ჯღუნა თოლიკაშვილმა 40 კ., ვანისა წიკლაურმა 50 კ., შიო წიკლაურმა 50 კ., გაგა წიკლაურმა 1 მ., ფიდო წიკლაურმა 1 მ., სვიმონა ევგიაშვილმა 80 კ., გიორგი ევგიაშვილმა 20 კ., გეო ვალიშვილმა 80 კ., პოვლე ფიცხელაურმა 1 მ., გუგუა ზაგაშვილმა 60 კ., ნიკოლოზ წიკლაურმა 50 კ., ნანა ქუქიშვილმა 50 კ., გლახა გელიაიძემ 50 კ., თომა წიკლაურმა 1 მ., შიო ზაგაშვილმა 70 კ., გიორგი ფიცხელაურმა 1 მ., ჯღუნა წიკლაურმა 1 მ., ლაზარე გელიაიძემ 1 მ., ბაჩა სეხნიაშვილმა 75 კ., გიორგი გიგაურმა 6 კ., თომა ქირიკაშვილმა 1 მ., ივანე გიგაურმა 1 მანეთი და 20 კაპ. კიდევ სხვა იქმნა შეწირული და სულ შესდგა ამით 34 მანეთი და 55 კაპ.

ა. კობაიძე

18 იანვრის

---

## დეპეშა

22 იანვარი

**ბერლინი.** პროფესორმა კოხმა ტუბერკულენი არსებითად გააუმჯობესა. იმედია, რომ ეხლა ეს წამალი ძლიერ არგებს ავადმყოფებს. დაწვრილებით ცნობანი კოხის მუშაობის შესახებ ამ მოკლე ხანში იქნება გამოცხადებული.

**ვენა.** რეიხსრატში გრაფმა ტააფემ რუსეთიდგან ებრაელების გადასახლების შესახებ სთქვა, რომ საზღვრის დარაჯებს ებრძანათ, არ შემოუშვან ავსტრიაში რუსეთის ის ებრაელები, რომელთაც საცხოვრებლად შეძლება და ან პასპორტები არ ექნებათო.

პეტერბურგის ბირჟა, 21 იანვარი

| | გამყიდ. ფასი. | გაიყიდა. | მყიდვ. ფასი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 8, 16 | 8, 20 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | $162^3/_4$ | $163^1/_4$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1, 17 | 1, 19 | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 235 |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 225 |
| —მესამისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | $198^1/_2$ | — ,, | $200^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6°/₀ | — ,, | — ,, | — ,, |
| 5½°/₀ | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀ | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

---

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1892 წ. 18 იანვრიდამ ახალი განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ „
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 8 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.
„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.
ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.
„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.
ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.
ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.
განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე; მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით, დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობით საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

---


# განცხადებანი

ახალგაზდა, კარგის დიპლომის მქონე

**მებალეს**

**სურს ადგილი იშოვნოს.**

ადრესი იალტას. ყირიმის გუბერნიაში. ნიკიტას ბაღში მიჰმართეთ კ. ა. კოკს. (2—1)

---

დაიბეჭდა და იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**კრილოვის არაკები**

ნათარგმნი თ. აკაკი წერეთლის მიერ

ფასი 30 კაპ.

ვინც ოცდათს ცალს ან მეტს იყიდის ერთად ნაღდს ფულზე, თითო ცალი 24 კაპეიკად დაეთმობა.

---

წერა-კითხვის სამმართველოში და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება

**ვაი მართალთა!**

მოთხრობა ანტ. ფურცელაძისა, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, ფასი 30 კაპ.

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„ივერია“**

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

---

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში ახალი წიგნი

**ზადიგი**

მოთხრობა ვოლტერისა

გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვის მიერ

ფასი 20 კაპ.

იქავე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამ თ. ა. სუმბათაშვილისა „ბორკილი“ და ჰღირს 40 კაპ.

---

მიიღება ხელის-მოწერა 1892 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

**„მწყემსზედ“**

და

რუსულ „ПАСТЫРЬ“-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახოეციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამმის აღსრულების გარდა, არის—1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო „მწყემს“-ში დაბეჭდილს სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით „მწყემსი“ | 5 მ. | 6 თვით „მწყემსი“ | 3 მ. |
| — „ ორივე გამოცემა | 6 „ | — „ ორივე გამოცემა | 4 „ |
| — „ რუსული „ | 3 მ. | — „ რუსული „ | 2 მ. |

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხახანაშვილების სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც.

გარეშე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газетъ „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.